SEPTEMBER 4 12:00

ანტონ სოროკოვი – ვიოლინო
ენრიკო კარარო – ალტი
ამედეო ჩიკეზე – ჩელო
ბრენდან კეინი – კონტრაბასი
სანია რომიჩი – ჰობოი
ალექსანდარ ტასიჩი – კლარნეტი
ანდრეა აძი – ფაგოტი
ნატალინო რიჩარდო – ვალტორნა
ტამაშ დავიდა – საყვირი
ნირ ერეზი – ტრომბონი
რაულ კამარასა პიკასო – პერკუსია

სერგეი პროკოფიევი (1891–1953)
კვინტეტი სოლ მინორი, თხზ. 39
I. Tema con variazioni

რიხარდ შტრაუსი (1864–1949)
„ტილ ულენშპიგელის მხიარული ოინები“, თხზ. 28
(გადამუშავება კამერული ანსამბლისთვის)

ელიოტ კარტერი (1908–2012)
რვა პიესა ოთხი ტიმპანისთვის
(სამი პიესა)

იან კუტსირი (1911–2006)
„ფოგაროს მეტამორფოზები“

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი (1756–1791)
ჰობოის კვარტეტი ფა მაჟორი, K. 370/368b
I. Allegro

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770–1827)
სეპტეტი მი-ბემოლ მაჟორი, თხზ. 20
I. Adagio – Allegro con brio

ლეონარდ ბერნსტაინი (1918–1990)
„ვესტ საიდის ისტორია“ – სიუიტა

Anton Sorokow– Violin
Enrico Carraro – Viola
Amedeo Cicchese – Cello
Brendan Kane – Double Bass
Sanja Romić – Oboe
Aleksandar Tasić – Clarinet
Andrea Azzi – Bassoon
Natalino Ricciardo – Horn
Tamás Dávida – Trumpet
Nir Erez – Trombone
Raúl Camarasa Picazo – Percussion

Sergei Prokofiev (1891–1953)
Quintet in G Minor, Op. 39
I. Tema con variazioni

Richard Strauss (1864–1949)
Till Eulenspiegels lustige Streiche, Op. 28
(Chamber arrangement)

Elliott Carter (1908–2012)
Eight Pieces for Four Timpani
(Selection of three pieces)

Jan Koetsier (1911–2006)
Figaro-Metamorphosen

Wolfgang Amadeus Mozart (1756–1791)
Oboe Quartet in F Major, K. 370/368b
I. Allegro

Ludwig van Beethoven (1770–1827)
Septet in E-flat Major, Op. 20
I. Adagio – Allegro con brio

Leonard Bernstein (1918–1990)
West Side Story – Suite

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

სერგეი პროკოფიევი – კვინტეტი სოლ მინორი, თხზ. 39
კვინტეტი 1924 წელს შეიქმნა პარიზში დაგეგმილი მცირე საბალეტო წარმოდგენისთვის, სახელწოდებით „ტრაპეცია“. მოგზაური დასი წარმოდგენების გამართვას მხოლოდ ხუთი მუსიკოსისგან შემდგარი ანსამბლით გეგმავდა, რამაც განაპირობა ნაწარმოების უჩვეულო შემადგენლობა — ჰობოი, კლარნეტი, ვიოლინო, ალტი და კონტრაბასი. მოგვიანებით ბალეტის მუსიკა დამოუკიდებელ ექვსნაწილიან კვინტეტად გამოიცა; დღევანდელ პროგრამაში მისი პირველი ნაწილი სრულდება.

რიხარდ შტრაუსი – „ტილ ულენშპიგელის მხიარული ოინები“, თხზ. 28
რიხარდ შტრაუსმა ეს სიმფონიური პოემა 1894–95 წლებში დაწერა გერმანული ფოლკლორის სახელგანთქმულ ცრუპენტელა გმირზე. კომპოზიტორი თავდაპირველად ტილ ულენშპიგელზე ოპერის შექმნას ფიქრობდა, მაგრამ იდეა საბოლოოდ საორკესტრო ნაწარმოებად აქცია. ნაწარმოების უზარმაზარი საორკესტრო პარტიტურა მოგვიანებით არაერთხელ გადაამუშავეს მცირე ანსამბლისთვის; დღევანდელ კონცერტზე ერთ-ერთი კამერული ვერსია სრულდება.

ელიოტ კარტერი – რვა პიესა ოთხი ტიმპანისთვის
კარტერმა ციკლის პირველი ექვსი პიესა 1949 წელს დაწერა, ხოლო კიდევ ორი — Canto და Adagio — 1966 წელს დაამატა. ადრეული ვერსიები იმდენად რთულად ითვლებოდა, რომ რამდენიმე პიესა წლების განმავლობაში მხოლოდ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. მოგვიანებით შემსრულებელთა ტექნიკის განვითარების შედეგად, ინტერესი პიესების მიმართ გაიზარდა და კარტერმა სრული ციკლის გამოცემა გადაწყვიტა. ამ საღამოს რვა პიესიდან სამი შესრულდება.

იან კუტსირი - „ფოგაროს მეტამორფოზები“
იან კუტსირის „ფიგაროს მეტამორფოზები“, რომელიც 1992 წელს შეიქმნა საყვირის, ვალტორნისა და ტრომბონისთვის, მასალად იყენებს მოცარტის ოპერას „ფიგაროს ქორწინება“. მოცარტის მუსიკის უბრალოდ არანჟირების ნაცვლად, კუტსირი მის ცნობილ თემებს თითქოს თამაშ-თამაშით გარდაქმნის. „ფიგაროს“ მელოდიები და მუსიკალური ჟესტები სახეს იცვლის ლითონის ჩასაბერ ინსტრუმენტებს შორის ნაწილდება. სათაური „მეტამორფოზები“ ზუსტად ასახავს ამ პროცესს: ნაცნობი ფრაგმენტები მუდმივად იცვლის ფორმას, ფერსა და ფუნქციას. შედეგად იქმნება როგორც მოცარტისადმი მიძღვნილი პატივისცემის ჟესტი, ისე დამოუკიდებელი საკონცერტო ნაწარმოები, რომელშიც საყვირის, ვალტორნისა და ტრომბონის ინდივიდუალური ხასიათები თითქოს კომიკური ოპერის პერსონაჟებივით ურთიერთობენ.

ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი – ჰობოის კვარტეტი ფა მაჟორი, K. 370/368b
მოცარტმა კვარტეტი 1781 წელს მიუნხენში დაწერა გამოჩენილი ჰობოისტის, ფრიდრიხ რამისთვის, რომელსაც პირველად 1777 წელს მანჰაიმში შეხვდა, როდესაც რამი სახელგანთქმული მანჰაიმის სასახლის ორკესტრში უკრავდა. ჰობოის პარტიაში გამოყენებული მაღალი ფა იმ დროისთვის განსაკუთრებულად თამამ მოთხოვნას წარმოადგენდა და ნაწარმოები აშკარად რამის გამორჩეულ ვირტუოზულ შესაძლებლობებზეა გათვლილი.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი – სეპტეტი მი-ბემოლ მაჟორი, თხზ. 20
სეპტეტის საჯარო პრემიერა 1800 წლის 2 აპრილს ვენაში, თავად ბეთჰოვენის მიერ მოწყობილ კონცერტზე გაიმართა. ნაწარმოები იმპერატრიცა მარია ტერეზიას მიეძღვნა და მან კომპოზიტორის სიცოცხლეშივე უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ბეთჰოვენს აღიზიანებდა კიდეც: საზოგადოება კვლავ სეპტეტს ითხოვდა მაშინ, როდესაც თავად კომპოზიტორი უკვე სრულიად ახალი შემოქმედებითი გზით მიდიოდა.

ლეონარდ ბერნსტაინი – „ვესტ საიდის ისტორია“ – სიუიტა
„ვესტ საიდის ისტორია“ ბროდვეიზე 1957 წლის 26 სექტემბერს დაიდგა. მისმა ავტორებმა „რომეო და ჯულიეტას“ სიუჟეტი 1950-იანი წლების ნიუ-იორკში გადაიტანეს. თავდაპირველი ჩანაფიქრით კათოლიკე და ებრაელი შეყვარებულების ამბავი მოგვიანებით ორი დაპირისპირებული ქუჩის ბანდის კონფლიქტით ჩანაცვლდა. ბერნსტაინის მუსიკა ჯაზს, ლათინურ საცეკვაო რიტმებს, ბროდვეის სიმღერის ტრადიციასა და სიმფონიურ წერას ერთიან და გამორჩეულ მუსიკალურ ენად აერთიანებს. „ვესტ საიდის ისტორიის“ მუსიკის საფუძველზე მოგვიანებით არაერთი სიუიტა და სხვადასხვა შემადგენლობის ვერსია შეიქმნა, რის შედეგადაც ამ მუსიკამ სცენისგან დამოუკიდებელი სიცოცხლე შეიძინა. ამ საკონცერტო ვერსიებში ცნობილი თემები და ცეკვები ინარჩუნებენ როგორც ორიგინალური მიუზიკლის ლირიკულ სიფაქიზეს, ისე მის რიტმულ ენერგიას.

ამ დროს საქართველოში...
1957 წელი, როდესაც ბროდვეიზე „ვესტ საიდის ისტორია“ დაიდგა, ქართული პოპულარული მუსიკის ისტორიაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სწორედ ამ წელს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან დაარსდა საესტრადო ორკესტრი „რერო“, რომელსაც შემდგომ ქართული ესტრადის არაერთი ცნობილი მომღერლის სახელი დაუკავშირდა. ამგვარად, იმ დროს, როდესაც ნიუ-იორკში ბერნსტაინი ჯაზს, ლათინურ რიტმებსა და ბროდვეის სიმღერას ახალ მუსიკალურ ენად აერთიანებდა, თბილისში ქართული პოპულარული მუსიკის ახალი ეტაპი იწყებოდა.

Programme Notes
by Nino Jvania

Sergei Prokofiev – Quintet in G Minor, Op. 39
Prokofiev composed the Quintet in 1924 for a small ballet production in Paris entitled Trapèze. The travelling company planned to tour with an ensemble of only five musicians, which prompted the deliberately unusual combination of oboe, clarinet, violin, viola and double bass. The ballet music was subsequently published as an independent six-movement quintet; this concert presents its opening movement.

Richard Strauss – Till Eulenspiegels lustige Streiche, Op. 28
Strauss composed this tone poem in 1894–95, taking as his subject the celebrated trickster of German folklore. He had initially considered writing an opera about Till Eulenspiegel, but eventually transformed the idea into an orchestral work. Its exceptionally large score has since inspired several reductions for small ensembles; one such chamber arrangement is heard in this programme.

Elliott Carter – Eight Pieces for Four Timpani
Carter wrote the first six pieces in 1949 and added Canto and Adagio in 1966. The early pieces were considered so demanding that several circulated only in manuscript for years. As percussion technique developed and performers became increasingly interested in them, Carter decided to publish the complete set. Three of the eight pieces will be performed at this concert.

Jan Koetsier – Figaro-Metamorphosen
Jan Koetsier's "Figaro-Metamorphosen", composed in 1992 for trumpet, horn and trombone, takes its material from Mozart's opera "Le nozze di Figaro". Rather than simply arranging Mozart's music, Koetsier treats its familiar themes as material for playful transformation. Melodies and gestures from Figaro are reshaped and passed between the three brass instruments. The title "Metamorphosen" — "Metamorphoses" — aptly describes this process: recognisable fragments continually change their form, colour and function. The result is both a homage to Mozart and an independent concert piece, allowing the personalities of trumpet, horn and trombone to interact almost like characters in an operatic comedy.

Wolfgang Amadeus Mozart – Oboe Quartet in F Major, K. 370/368b
Mozart wrote the Quartet in Munich in 1781 for the distinguished oboist Friedrich Ramm, whom he had first met in Mannheim in 1777 as a member of the famous Mannheim court orchestra. The oboe part includes a high F that was an unusually adventurous demand at the time, and the work clearly exploits Ramm's exceptional virtuosity.

Ludwig van Beethoven – Septet in E-flat Major, Op. 20
The Septet received its public premiere in Vienna on 2 April 1800 at a benefit concert organised by Beethoven himself. Dedicated to Empress Maria Theresa, it became one of the most popular works of his lifetime. Its success eventually irritated the composer: audiences continued to request the Septet even as he was pursuing a radically different artistic direction.

Leonard Bernstein – West Side Story – Suite
"West Side Story" opened on Broadway on 26 September 1957. Its creators transferred the story of "Romeo and Juliet" to 1950s New York, replacing an earlier idea involving Catholic and Jewish lovers with the conflict between two rival street gangs. Bernstein's music combines jazz, Latin dance rhythms, Broadway song and symphonic writing into a remarkably unified musical language. For concert performance, music from "West Side Story" was later fashioned into numerous suites and arrangements, allowing the score to live independently of the stage. In these concert versions, familiar themes and dances preserve both the lyrical tenderness and the rhythmic energy of the original musical.

Meanwhile in Georgia...
The year 1957, when „West Side Story“ opened on Broadway, also marked an important moment in Georgian popular music. That same year, the Georgian State Philharmonic founded the estrada orchestra Rero, which would later become closely associated with some of Georgia's best-known popular singers. Thus, while Bernstein was bringing jazz, Latin rhythms and Broadway song together in New York, a new chapter in Georgia's own popular-music culture was beginning in Tbilisi.

8TH EDITION
TSINANDALI
FESTIVAL
3-13 SEPTEMBER . 2026